



საქართველოს ერთენულ-დემოკრატიული პარტია.

ა-522

# ახალი ივერია

## La Nouvelle Ibérie

საზღვარგარეთელი ახალგაზრდობის ორგანო.

Organe de la Jeunesse Nationale Démocrate Georgienne.

*Handwritten signature or initials*

**N 4**

მარტოვლისთვე 1921წ.

პარიზი.



საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

ახალი  
ივერია

მარიამობისთვე 1931წ.

N4

Август 1931

საზღვარგარეთელი ახალგაზრდობის ორგანო.



მარცხნიდან მარჯვსივ: მიშა ხოფერია, მიტო გოგენიაშვილი და ვახო სინჯიკაშვილი.

საქ.ერ. დემ. პარტიის ახალგაზრდათა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში

—დახვრეტილი 1924წ. აგვისტოს 28-ს ტფილისში.

ქ. ჯ. ბ.

## მათ სსოვნას.

29 აგვისტოს დაუნდობელმა მტერმა თავისი გამარჯვება საქართველს საუკეთესო შვილთა გვამებზე გადაიხადა. მოგვრაცა და ამოგვიქლიტა უამრავი შეუნაცვლებელი და საყვარელი მეგობრები.

მათ შორის ჩვენს ტანჯვით მოღლილ მოვლენებას უფრო განსაკუთრებულის სიძლიერით ესტუმრება ხალხმე, ჩვენი ახალგაზრდათა ცეკას «წმინდა სამება», — მისი პრეზიდენტი.

ყოველ მათგანს თავისებური მიზნიდევლობის ჯადო ჰქონდა: მიტო გოგნიაშვილი... მისი გახსნილი და მეტად მშვიდი სახე, მისი დარბაისლორი საუბარი ადამიანს გზიბლავდათ და მისდამი სასოების მხურვალეებას გიღვიძებდათ. ენო სინჯიკაშვილი... მისი მკვეთრი გამოხედვა, დასახული მიზნისადმი შეუპოვარ ერთგულები-სა და საერთოდ მის დაუშრეტელ ენერჯიას მოწმობდა. საესე პირადი ღირსებებით როგორც ადამიანი და მეგობარი, ის საერთო პატივისცემის საგანი იყო. მიშა ხოფერია... მისი მოძრავი სილუეტი, ათასთა შორისაც ადვილად გამოსასწობი — ახალგაზრდული სისელები და მდიდარ სულიერ განცდათა ნაიო-ნაირობის სურათს გაძლევდათ.

ზაბუკობის წლებიდან სულ ახლად გამოსულნი, ეს სამი ახალგაზრდა ღირსეულად ასრულებდა იმ მძიმე მუშაობას, რომელიც პარტიამ მათ დაავალა იშვი-ათად რთულ პირობებში.

ერთი-ერთ-დემოკრატიული ახალგაზრდობის თავგანწირული მოქმედება აჯან-ყებისათვის და თვით აჯანყების დღეს, მათი მალაპატიოტული აღგზნებისა და მათი გამჭრიახი ხელმძღვანელობის შედეგი იყო. ეს იცოდა მტერმა. ისიც, თუ რამ დენად ძლიერი იყო ამ სამი ჩვენი საყვარელი მეგობრის გაელენა ჩვენზედ და რამ დენად ურყვევი იყო მათი მტკიცე რწმენა და გადაწყვეტილება.

და ისინიც მათი შურისძიების პირველი მსხვერპლნი გახდნენ. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მათ წარბშეუხრელად გამოსსალეს საწამლაკითსა ესე თასი. ისინი მიიცვალნენ იმ მტკიცე რწმენით, რომ საქმე, რომელსაც შეეწირნენ გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა.

ერთი-დემოკ. პარტიის ახალგაზრდობამ თავის გულში მათ უკვდავების ძეგლი აუგო, და ამ ძეგლზედ წააწერა:

«ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის  
ეს განწირული სულის კვეთება  
და გზა უვალნი შენგან თელილი  
მერანო ჩემო მაინც დარჩება.»

## 29 აგვისტო.

ამ დღის მოაზნება ისევე გვწევს, როგორც მისი მოლოდინი გვახულდგმულება.

წელთა განმავლობაში ტანჯვას, წამებას, სირცხვილს გულში ვიკლავდით. ამ დღეზედ დამყარებულ იმედებს ნაზად და ფაქიზად ვზრდიდით.

მას ვეაღწერსებოდათ შეყვარებულის სიგიჟით, მიყლის ახალგაზრდულის სიფიციითა და თავდავიწყებით.

გვსურდა წინ და წინ ამოგვეკითხა ერის ბრძანება, მისი სურვილები.

ამ დღეს მოველოდით ჭაბუკურის მოუთმენლობით და მის მსახურებაში ვხედავდით ჩვენი ცხოვრების მიზანს.

და როდესაც გათენდა ეს დღე, დღე სამშობლოს სამსახურისა და სიყვარულის დამტკიცებისა ჩვენ ახალგაზრდულის თავგანწირვით გავეშურენით წმინდა სამსხვერპლსა; როგორც ერთგულნი მონანი მას გარს შემოგვხვიეთ, მანაც ჩაგვიკონა და ჩვენს ჩაგვიკონა.

დღეებმა ჩვეულებრივის სვლით გაიარეს და ერთმა მათგანმა საბოლოოდ დამარცხების განაჩენი გამოგვიტანა!..

ჩვენს პირველად ვიგრძენით ის ჯერ კიდევ უცნობი აცხლი სულ სხვა ტანჯვისა და სირცხვილისა. მიმოვიხედეთ—ჩვენს რიგებს თანამებრძოლნი ათასობით აღლდნენ; მხოლოდ ოცდა ატრა აგვისტოს სამსხვერპლო სისხლით იყო სავსე.

ეს სურათი იყო შედეგი ჩვენი მოლოდინისა?

და ეგ მოლოდინი, ამდენი სიფაქიზით ნაალერსები, ამდენი სიმშაგით ნადარაჯები, ჩვენ მყისვე დაგვშორდა...

მას შემდეგ ყველანი მას დავექმებთ, მაგრამ ვერ ვპოულობთ; არავინ იცის, თუ სად მიიმალა. ისევე უცნობია იგი, როგორც უცნობია ჩვენთვის ჩვენი წამებული ძმათა საფლავები.

დავრჩით ობოლნი და ეგ ობლობა გვტანჯავს, გვაწამებს.

და მხოლოდ მოგონება, ერთი მოგონება—და დაგვრჩა ამ დღისა.

ამ მოგონების წინ უნდა ჯანვითარათ ყოველივე, რაც პირადია ან ჯგუფური.

და ესთქვათ გულწრფელად, ესთქვათ; თუ შეეცოდეთ, რა შეეცოდეთ და რა დავაშავეთ ერის წინაშე. თუ ამის ძალა დღეს არ შეგვწევს მოვემზადნეთ მომავლისათვის! განვსპეტაკდეთ, ავმადლდეთ ამის შექლებამდე.

მაშინ გამოჩნდება, რომ დიდი დანაშაული საერთო მესვეურთა, რომ ერთი და მოლოდინი ჩვენ ახალგაზრდებს ასე უღმერთოდ პირქვე დაგვიმხვს.

ამ შეგნების სიმაღლიდან თვალთ გადაშლება გმირებით ამოვსებული საფლავები, შავებში მოსილი დედები, გალანძული ოჯახები, შეგინებული ეკლესია, ერთი სიტყვით და ყველა ერთად—ჩვენი წამებულნი სამშობლო!

და შემდეგ, როდესაც ამ დიდი დღის შეგნების სიმაღლიდან ძირს დავეშვებით, სინიდის დაეკითხოთ— ყველას აქვს თუ არა უფლება უთხრას იმათ ვინც ამ დღეს შეეწირნენ:

დიდება თქვენს ხსოვნას, ნუგეში თქვენს ოჯახებს!..

ვიყავთ ისეთივე მსაჯულნი ჩვენი თავისა, როგორც სხვის მიმართ ვართ და ისე გავცეთ ამ კითხვას პასუხი.

გავიკითხოთ, შეიძლება ზოგიერთი მიზეზი ამ დიდი ტრადიციის მანლობად მოიძებნოს, დავაკვირდეთ მათ, რათა მომავალში, შეტდომები ნაკლებად გავიმეოროდ.

მხოლოდ ჩვენს ღირსეულ ძმათა ანდერძს მათი უღირსი ძმები ნუ დავივიწყებთ და მოვიპოვოთ უფლება უთხრათ იმ საქართველოს, რომელსაც ისინი შეეწირნენ:

«იმედი წამებულთ სამშობლოვ»

ბ ა მ ა .

## ერთი ეპიზოდი

(მონაწილის მოგონებებიდან)

აღმოსავლეთით ჰორიზონტზე ღრუბლები შეფერაიდა. კენტად გამოქცეულმა სხივმა ჩამოწოლილი წისლი ისარივით გასურა და შავ ღრუბელს ფერი აცვლევინა. ეს თითქმის ნიშანი იყო.

ჩრდილოეთით ქალაქს შემოწოლილ გორაკზე თოფი ხუთჯერ ზედი—ზედ გავარდა: იმავე წუთში დასავლეთით და სამხრეთით ასივე ხუთ-ხუთი რყვია ზუზუნით პაერში გაჰქრა. კიდევ რამდენიმე წუთი და მანამდე, მისტიური სიჩუმით მოცულ ქალაქში სამი მხრით სროლა ასტყდა.

სროლის ხმა ახლოვდებოდა, ეტყობოდა იერიში მოჰქონდათ. ქალაქის საზ.



ღვრებზე და ჭეჩაჭირღებზე გაძლიერებული მცველები შეშინებულად, უწყსრივგოთ მაგ  
რამ სროლითვე უკან იხევდნენ შუაგულისკენ.

ჩრდილოეთის რაზმმა სხვებს დაასწრო, უკვე ქალაქში შემოვიდა და აღმასკო  
მის სამსართულიან შენობას ალყა შემოარტყა.

დასავლეთიდან ჩეკას მოუახლოვდნენ.

სამხრეთით-კი წინააღმდეგობა არავის გაუწევია და უკვე ფოსტა დაიკავეს. ჩე-  
კაში ორივე შესავალთან ტყვიისმფქვეველები განუწყვეტილვ კაპანებენ და სტვლავენ  
არე—მარეს. აქ არის თავმჯდომარე მთელი მაზრის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი  
კომუნისტობა. ჩეკის შენობა რამდენიმე საათი მიუვალ სიხე—სიმაგრეთ იქცა, მაგრამ  
აჯანყებულები სამივე მხრით შუაგულისაკენ მოიწვედნენ და თანდათან ჩეკას ყოვე-  
ლი მხრით ალყა შემოარტყა.

გარეთ დარჩენილი იდეური კომუნისტები სიძოტსხლეს შესთხოვდნენ და იარ  
აღსაც სიხარულით აბარებდნენ. პირველი თოფის გავარდნიდან ერთი საათის განმავ  
ლობაში მთელი ქალაქი აჯანყებულთა მძირე—რიცხოვან მოწინავე რაზმს ეკავა.

დასაწყისში აჯანყებულებს უთუოდ ბედიც სწყალობდა. ერთ მათგანს სამაზ  
რო პარტკომის ბინაზე საიდუმლო იარაღის საწყობი აღმოეჩინა და ეს ამბავი ქალაქს  
ელვის სისწრაფით მოედო. პარტკომის წინ იარაღისა და ტყვიების მისაღებად, სიხა  
რულით აღფრთოვანებულთა დაუსრულებელი რიგი გაიმართა. ხალხი ყოველ წუთს  
ემატებოდა: კაცები, ქალები, ბავშვები, სიხარულით აღსავსე სახეებით ერთმანეთს  
ეხვეოდნენ და გამარჯვებას ულოცავდნენ.

—ქრისტე აღზდგა! აღზდგა ქრისტე! —ეძახდნენ ერთმანეთს.

—აღზდგა საქართველო! აღზდგა!

—გაუმარჯოს თავისუფლებას! გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას!

—ძირს ველური რუსეთის ბატონობა! სიკვდილი მოლაღატე კომუნისტებს! სიკვდი  
ლი რუსებს! —ერთი ხმა მკორეს ფარავდა და ერთმანეთში ირეთდა. —მოგვეპით  
თოფები, მოგვეპით იარაღი, რამე გავიმარჯვოთ ან ყველანი ერთბაშათ გავწყდეთ!

ასეთი თხოვნით მოსულთა რიგი პარტკომის წინ თანდათან იზრდებოდა მაგ  
რამ იარაღი ნაგარაუდევნე სოტა აღმოჩნდა.

ჩახსმულმა, ახვანმა, მკლავში ჭრილობისაგან ხელ აკრულმა ახალგაზრდამ აქა  
ფებული ცხენი მოავდო და პარტკომის წინ მარდად შეაყენა—მძებო! ბრძანებაა ესლა  
ვე ქალაქის ბაღში შეგროვდეთ— ჩახლეწილი ხმით მიიძახა მან პატარა მოედანზე თავ  
მოყრილ ჯგუფს და ბყისვე გაჰქუსლა.

ბაღში უკვე დიდ ძალი ხალხი მოგროვილიყო. ყველა ერთმანეთს ეხვეოდა,  
ერთმანეთს ჰკოტნიდნენ.

—ღმერთო შენ შეეწიე ჩვენს ტანჯულს ქვეყანას, ყავლის შემძლე უფალო! შენ მოუ  
მართე ხელი შენს წილ საქრისტიანოს!

სიხარულით ასრემლებული ჭკითინებდნენ მოხუცი დედა—კაცები. ხალხი ზეი  
მობდა, სიხარულმა ერთბაშად ამოხეთქა, სტიქიურად, მოულოდნელად. ხალხმა იგრძნო  
ის, რასაც მამა—პაპა ეწირებოდა; ქვეყანამ იმ მიზანს მიღწია, რომლისთვისაც მთელი  
საუკუნე შეუპოვრად იბრძოლა და ამიტომ იყო ბუნებრივი, რომ ყველას დიდსა და  
პატარას, ქალსა და კაცს, მოხუცსა და ახალგაზრდას, შეძლებულსა თუ ლატაკს — განუ  
საზღვრელი სიხარულით სახეები უბრწყინავდა. ყველა მხიარულობდა. ახლად მოსუ  
ლს ულოცავდნენ და ჰკლანდნენ. აგერ სიმღერა. იქ მეორე ჯგუფს წრე გაუშლია, ცე  
კვა გაუმართავს. მომღერლები შეუწყვეტილ «დიდებას» გალობენ, ყველა ერთად ბანს  
აძლევს და ბალის მღვრდელ მოედანზე გაქვილი ხალხი ეროვნულ ჰიმნს ერთხმად გუ  
გუნებს. ტრიბუნაზე ხმელი, პატარა ტანის სხვიერ გატეხილი კაცი გამოჩნდა. მოედან  
ზე მყისვე სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა ტრიბუნისაკენ მიბრუნდა. ხალხი ყუ  
რადღებდა იქცა.

— ძვირფასო მეგობრებო, საყვარელო თანამემამულენო!  
დასაწყისშივე, მარტლამ მიმართვაში ბევრი რამ აგრძნო ხალხმა და ორატორს ხანგრძ  
ლივმა ტაშმა შეაწყვეტინა. მისმა ლამაზმა, პათეტიურმა სიტყვამ ხალხი კიდევ უფ  
რე აღაფრთოვანა. ორატორი პაერში აისროლეს და მოედანი და მისკენ მომავალი ხა  
ლხით გაქვილი ქუჩები «ვაშას» ძახილითა და ტაშის კვრით დაიფარა.

ხალხი თანდათან ემატებოდა. კომუნისტების დაპატიმრებას მოსახლეობა თა  
ვისი ნებით დიდიდანვე შეუდგა. ქალაქის ციხეები, ჩეკის შენობა და ბოლშევიკების  
მიერვე საპყრობილეებად ქცეული სიმინდის საწყობები ქალაქში და სოფლებში დაპა  
ტიმრებულ კომუნისტებით ივსებოდა. ქალაქი ახლო—მანლო სოფლებიდან მოზგა  
ვებულ გლენობას ვეღარ იტყვდა. ყველა თხოულობდა იარაღს: თოფს, ტყვიას, მაგრამ  
ყველასათვის საქმარისი იარაღი აღარსად იყო. მეტი სივიწროვე ტყვიებზე იყო, ბევრს  
ჰქონდა თოფი სრულიად უტყვიოდ, ბევრს კიდევ ორი—სამი ტყვიით, ხოლო ათი ტყვი  
ის პატრონი თითით საჩვენებელი იყო. ასეთა სამხედრო მარაგის მქონეთ, რა თქმა უნ  
და, საკუთარი ძალით დაკავებული ადგილების დიდ ხანს გამაგრება არ შეეძლოთ. მაგ  
რამ სიხარულით აღტაცებულსა და აღფრთოვანებულ ხალხს მომავლის შიში წუთით  
თაც არ მიჰკარებია. თვითული მათგანი ხედავდა მისებრ ათასებს, კიდევ მეტს; მთე  
ლი ქალაქი და მახლობელი უბნები გატეხილი იყო ჯანითა და სიძოცხლით სავსე ვაჟ  
კაცებით. სამშობლომ მოუწოდა და ისინიც მყისვე გაჩნდნენ; თვითული მათგანი მზად  
იყო ყველაფერი მისთვის შეეწირა: ცოლ—შვილი, დედა—მამა, ოჯახი, მთელი ქონება და  
საკუთარი სიძოცხლეც.

ასეთები იყვნენ ეს ათასები და რა ძალას შეეძლო მათი შეჩერება, ვინ გაბედავ და წინააღმდეგეთა გაეწია ამ თავგანწირულ მომარებისათვის? ან განა სხვებს უპირებ დენ რამის წართმევას? განა კუთუნებულს, მამა—პაპებულს არ იცავდნენ? საკუთარ ოჯახს, თავის მშობელს, სამშობლოს მტრისგან აზრებულს და განა ადამიანობა და სამარ თლიანობა მათ არ იცავდა? ამ რწმენით იარაღის მისაღებად მოსულ ათასებს რა შეა შინებდა? თვითული მადგანი მზად იყო მტერზე ხელდახელ მისასვლელად, თვითული მზად იყო შეიარაღებულ რუსზე უიარაღოთ მისულებად.

გარდა ამისა ხალხი დიდად დაიმედებულ იმითაც იყო, რომ ჩვენ ძალაუფლები ჩავივდით და ანტანტის კრისერები მოსაშველებლად ფოთზე და ბათუმზე მომდგარი არიანო..... ამის იმედით დაიწყო ხალხმა აჯანყება და მოტყუებული სწორედ ამაში დარჩა.

სალამოსათვის აჯანყებულთა სამხედრო შტაბის ბრძანებით შეიარაღებული ძალები შეგროვდა და ქალაქის დასაცავად დარჩენილებს გარდა ორ ნაწილად გაიყო. ნახევარი აღმოსავლეთის დანახევარი დასავლეთის პოზიციების გასამაგრებლად გაიგზავნა.

ამ დღემ მშვიდით ჩაიარა. გაიღო რესტორნები, ღვინის სარდაფები, მაღაზიები, პატრონებმა კარები ფართოდ გააღეს და გამგულ—გამომგულეს უფასოდ ეპატივე ბოდნენ. ქალაქში საერთო ნადიმობა გაიმართა. ნეტარებაში მყოფთ საქმე გათავებული ეგონათ და ერთმანეთს სისხლდაუღვარელად გამარჯვებას ულოცავდნენ. მთელი დამე ლხინი—სიმღერა არ შეწყვეტილა.

მეორე დღესაც გლეხობას კომუნისტების ეტაპები—ეტაპებზე მოჰყავდათ და საღამომდე ჩვეულებრივი მზიარულება სუფევდა; საღამოთი კი საქმიანი და გამალებული მოძრაობა დაიწყო. აჯანყების ხელმძღვანელები და სამხედრო გარნიზონის უფროსი პოზიციიდან პოზიციისკენ დაჰქროდნენ—სტრატეგიულ პუნქტებს ამაგრებენ. მეტი ყურადღება აღმოსავლეთის პოზიციას ექცევა. მდინარის პირას რკინის გზის გასწვრივ ყანაში სანგრები გაითხარა. რკ. გზის ლიანდაგი დაიშალა. ზარბაზნისა და ტყვიამფრქვევლების ჩასაფრებას უკლარა, სათნო სახის ტანადი ღენერალი ხელმძღვანელობს—იგია სამხედრო გარნიზონის უფროსი და აჯანყებულთა მთავარსარდალი.

აღმოსავლეთი გამაგრებულია, უკვე შეუძლია ბრძოლა მიიღოს. აჯანყებულები ორ სამ—დღეს დაიცავს თავის საზღვრებს, ამ ხანში ევროპამ მოასწოებს.....

შეზინდებისას დასავლეთით სროლა მოისმა—ეს ჯავშნიანი მატარებელია პროლეტარიატის გასანთავისუფლებლად მოსული. ჩასაფრებულმა რაზმებმა ჯავშნიანი ახლოს შემოიტყუეს, რომ ჩასაპურად უკან ლიანდაგი აეყარათ, მაგრამ ტყვიამფრქვევლებმა გზა გაიწმინდა და ბრძოლის შემდეგ ჯავშნიანმა უკან დაიხია. ამით შეშინებული იგი მდინარეს ვეღარ გადმოღის და გაღმიდან ისვრის.



იმევე დამით ბრძოლა აღმოსავლეთის ფრონტზეც გაიხსნა—ტფილისიდან რუსებმა მოატანა და შეტევაზე გადმოვიდნენ. დილით ორივე ფრონტზე ბრძოლაა. ავტოებს სასწრაფოდ ტყვიები დააქვს ორთავე მხარეს, მაგრამ მარაგი სოტა და დარჩა, იქნებ დღეს ეყოს. ღენერალმა უკვე განკარგულება გასცა ტყვიები მომჭირნეთ იხმართნ. აღმოსავლეთით რუსები მოიწვევენ. ადიდებული მდინარე ქვეითად გადმოელანათ და აღანყებულთა მოწინავე პოზიციას ზურგში მოექსნენ. ხელჩართულ ბრძოლიდან ქართველებმა ოცი რუსი ტყვედ მოიტაცეს, მაგრამ რუსებს დამხმარე ძალამ მოასწრო, ფრონტი გაიზღვა, ქართველები უკან იხევნენ..... მაგრამ ეს არავის აშინებს, ხალხს რწმენა არ შერყვია:—ვერობა მოგვასწრებს, უორდანია დაგვპირდა, ის არ მოგვაცულებს, იმედი რომ არ ჰქონოდა არ შემოთვლიდა—ამხნევებდნენ ერთმანეთს.

—ფრანსიას კლოვისერები და ჰაეროპლანები მიუპია, სასაა თვითონ ნოვეც აქანე გარდება, კიდო სოტა შეევაგროთ და ამასობაში ქე მოგვისწრებს. ჩვენი ნოვე, ჩვენი ბეღადი! იგი ტყვილს იტყოდა?

—მაგი არ მიტყვამს, მარა ამ კლოვისერებს ქე შეავგიანდა, აქანა ტყვია გათავდა, შეტს ვერ გოუძლებთ: თუ ამოგველიტა ამ რუსებმა, მერე გინდა მევიდეს და გინდა არა. უორდანია მეიტყუებდათქვა არ მიტყვია, იგი უგარანტიოთ ბრძოლას არ დაგვაწყები ებდა მარა.....—მარა! არაფერი მარა არ უნდა ჩემო გახუ, იგი ჩვენზე უკვიანია, რუსეთს რომ ჩვენ ვერ გაუძლებდით აგი ჩვენზე უკეთ ესმის და მტერს ზეთის ანაბარა არ შეგვატიებს. აგი რომ მოხდეს მოტყუება კი არა ლალატობა იქნება და მერე ეს ნოვეს არ ესმის? რავე გეკადრება გახუ ჩემო.....

ცაში მხუილი მოისმა. ათასების თვალები აღიმართა ზეცისკენ და დაიკიმა მხედველობა. შორს ჩიტის ოდენად თვითფრინავე გამოჩნდა, ხალხი მოუთმენლად დააჰქერდა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს სუნთქვაც შესწყვიტეს. ხმის ამოღებას ვერაინ ბედავდა. გულში—კი ყველას ერთი კითხვა ჰქონდა—ვისია ჰაეროპლანი, ჩვენი თუ რუსების?

ჰაეროპლანი ახლოვდებოდა და ამ კითხვასაც პასუხი თავის თავად გაეცა. —ფრანგულად აწერია, ფრანგულია! ჩვენია, ჩვენი! მოგვასწრო ვერობამ, ვაშა ევროპას! ვაშაა! იყვირა ათასებმა, ხალხი კვლავ აღფრთოვანდა. მაგრამ.....

ჰაეროპლანმა ყუმბარები ჩამოყარა.

ხალხი შეკრთა, უწესრიგოდ, დაბნეულათ ამოძრავდა. ზოგმა ქვეშიდან თოფი ესროლა, მაგრამ ჰაეროპლანმა კომუნისტური ფურსლებიც გადმოყარა და დაუნიანებლად მიიშალა.

მხიარული განწყობილება შიშნარეგმა ორჭოფობამ შესცვალა. სახეებზე ღი-



მილი გაჰქრა. მანამდე სიხარულით მბრწყინავი თვალები ბრაზით აივსა და გაოცებით ერთმანეთს შეჰყურებდნენ.

—რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, ნუთუ მოგვატყუეს? ნუთუ უორდანიამ დაპირება არ შეასრულა, ნუთუ მოგვატყუა და გვიღალატა?

ამ კითხვებზე პასუხისათვის ხალხი სამხედრო შტაბს მისცენდა. თითქოს აქ იყო ზუსტი პასუხი. ლამაზი, ახლავანი ჭადარა ღენერლის დამშვიდებულმა, უშიშარმა სახემ, იმედის მიმქრალ ნაპერწკალს გასაღვივებლად დაჰბერა, მისმა იმედიანმა და დამაჯერებელმა სიტყვამ ხალხს ნუგეში მისცა, გაამხნევა, გული გაუმაგრა და მოხუცსა და ახალგაზრდას ისევე პოზიციისაკენ პირი უბრუნა.

ხალხი უტყვივით, «კარტჩებზე» და ყუმბარებზე ხელდა-ხელ მიიწევედა.....

შებინდებისას რუსების ჯავშნიანი სადგურთან გამოჩნდა და ქალაქს ყუმბარები დაუშინა. მსპოვრებნი პანიკამ მოიცვა.

განაპირას ისლით დახურულ სახლიდან ქალის კივილი მოისმა.

ყუმბარას სახლის კედელი გაენგრია და შიგნიდან აკვანივთ კედელზე მოდგმული ძუძუ მწოვარაც თან გაეტანა.

დამსხვრეული აკვანი მეზობლის ეზოში ეგდო. დაფლეთილი, თავ წაწყვეტილი მაგრამ ჯერ კიდევ ცხელი პაწაწა მერთე მხარის გადასვრალა და თვალ დახუქული, ხუქუქ თმიანი ბუთხუზი თავი ღობის ყურეში ჭინჭრებში ეგდო. ამის მნახელი და თმა დაკაწრული დედის წივილით გაბრუებულებს არც შეუმჩნევეიათ, რომ ბნელი ეზო უჩვეულოდ განათდა. ეს სხვებზე ადრე თვით დედამ შენიშნა, წამით შეკრთა:

— მეც შენთან შეილო, მეც შენთან!

და თმა გაშლილი, სახე დაკაწრული, ტანისამოს შემოხვეული დედა, თავშალში განგეული შვილის სალსალკე ნაწილებით ხელში აღმოდებულ სახლში შევარდა. შიგნიდან ერთი შეჰკივლა, მაგრამ კივილი ჩამოგრეული ჭერის ხმაუომა შთანთქა.....

ეს იყო გამარჯვებული რუსეთის პირველი აქტი, რომელსაც ჩქარა ვერაინ დაივიწყებდა, რომ იმ დღეებში მომხდარ საშინელებას იგი არ დაეჩრდილა....

საქართველომ არაფერი დაწოგა, თავისი სიტყვა პირნათლად შეასრულა, ერთი კაცივით ფეხზე დადგა, ბევრგან ძალაუფლებაც ხელში ჩაიგდო, მაგრამ სხვებმა სიჩქვე გაუჩეხეს. შეაცდინეს, დააღალატინეს და დაჭრილ გაბელებულ ვიშაპს გადასაყლაპათ პირში შეატრევს.

ა. ქა — ი.

პარიზი 8-8-31წ.

## ფედერაცია?!

(გუძღვნი ბ-ნ მ. წერეთელს).

დღეს ქართველ ერს ყოფნა არ ყოფნის კითხვა უდგას. ერთმა უსხოელმა მოგზაურმა პოლიტიკურმა მოღვაწემ კავკასიიდან დაბრუნებისას მითხრა: «ჩემი შთაბეჭდილებაა რომ ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს კავკასიაში ქართველობისა და თათრობის აღკვეთა-მოსპობა, ამ საქმეში მას ეხმარებიან ოსობისა და სომხობის ერთი ნაწილი-რამელიც აღმასრულებელ ორგანოებს ხელმძღვანელობს. ქართველობის ტრადიციები, აუწერელია, თუმცა მხნეობა მაინც ეტყობათ—».

ჩვენ კიდევ სხვა ფაქტებიდან ვიცით, რომ ჩვენი ერის ფიზიკური არსებობა უკიდურეს განსაცდელშია. ერთად ერთი ნაწილი ქართველობისა, რომელსაც თავისუფალი სიტყვისა და მოქმედების საშვალეება აქვს და შეუძლია მშობელი ხალხი და ქვეყნის ხსნი სათვის იზრუნოს, ეს არას ემიგრაცია. ხოლო თვით ემიგრაციაში რაღაც ინერციის კანონით დღემდე გამეფებულია შფოთვისა და რღვევის ის «ბოროტი სული» რომელიც 30 წელიწადია, რაც საქართველოს სხეულსა ღრღინს. ჯერ ეროვნული ნებისყოფა დაგვიავადა, შემდეგ ზნეობრივად და ფაქტიურად საბჭოთა ბატონობას ნიადაგი მოუშადა საქართველოში, და შემდეგ კი მთელი ერი და ემიგრაცია თავის «მე»ს ანაცვალა.

ასეთ პირობებში ემიგრაციის, მოვალეობაა მთელი თვისი ძალდონე მოიკრიფოს რომ მორიგ საკითხებს მოუაროს; შეკქმნას საკუთარი ორგანო პოლიტიკურ მუშაობისთვის, დამოუკიდებელი ყოველგვარ მარცხიან და საბედისწერო პირთა, რათა ქართულ საქმეს და ქართველობას მეტი ნდობისა, მეტი წონისა და კრედიტის, მეტი ღირსების და ზნეობრივი განძის მქონენი გამოესარჩლენეს; ეს ასე უნდა მოხდეს, თუ არ გვინდა ქართველი ერის სახელის ერთიანად დასემა; ევროპაში უნდა დაინახოს, რომ ქართველობას სხვა და უკეთესი ზნეობისა და გონების საგანძურის აქვს, ვიდრე ის, რაც რუსულმა რევოლუციამ მას თავს მოახვია; დამალატიანებელი მენშევიზმი, ეხლა აქ ევროპაში გაეროვნებული, ევროპიულ ს.დ.პ. სამოსელში ისეთავე პირმოთნეობითაა განხეული, როგორც შინ. საქართველოში, წინაღობის ფილიუმისა და ანტიეროვნულ აზრებსა და მოქმედებაში ახრჩობდა ხოლმე ბედკრულ ქართველობას. აი, ასეთ დროს ჩემთვის გაუგებარია, რად სვამენ მორიგ საკითხად და პოლიტიკური პროგრამის გარეშე ვალ მუხლად ისეთ პრობლემას, რომელიც ყოველ შემთხვევაში მრავალ მხრივ შესწავლასა და გასინჯვას მოითხოვს; ფედერაციის საკითხი, ჯერ—ჯერობით, პრობლემათ რომ მიეჩნათ, შესასწავლად და სადისკუსიოდ დაესვათ, მას თეორიულად მეტის სიმკატით შეხედებოდა ზოგი ჩვენგანი. ხოლო ყოველი პასუხის მგებელი მოქალაქე უარყოფითად შეხვდება მას, თუ საკითხი მორიგ მოთხოვნათა და მსოფლმხედველობის აქ



სიომად წარმოგვიდგინეს, როგორც პანასევია ჩვენი პოლიტიკური გაჯანსაღებისათვის. უნებლიედ მახსენდება რა ფანატიკოსობით „მოითხოვდნენ“ სოციალიზმსა და სოციალიზაციის წესებს ჩვენი მიმართულებანი, თუმცა არც ერთმა მათგანმა არა იცოდა რა ნამდვილად არც სოციალიზმისა და არც სოციალიზაციის, არც შეედლო სოდნოდა რად გან დღემდე ამისი არც ევროპაში იციან კონკრეტულად რაიმე. ხოლო გერმანელი სახელგანთქმული მეცნიერი ი. ლიფმანი \*) თუ სამართლიანად ამბობს, რომ სოციალი სტრუქტურის მოძღვრება საბედისწერაა გერმანიისათვის, მეტის სამართლიანობით შეგვიძ ლიან ვსთქვათ ჩვენ, რომ იმავე ფანატიკუმა მოძღვრებამ შეუძლებელი გახადა საქარ თველოს ეკონომიური და ნორმალური განვითარება—გაშლა, მთელი თავისი შესაძლებ ლობით. სხვა პირობებში შეიძლება ფედერაციის პრინციპი, როგორც მართვა-გამ გეობის წესი, დაგვეცვა, მაგრამ ესა ჩვენ იძულებული ვართ უარყოფით მხარეებსაც შევეხთ — უწინარეს ყოვლისა ჩვენთვის არ არსებობს ფედერაციისა თუ ცენტრალი ზაციის საკითხი როგორც მსოფლმხედველობისა ან რწმენისა ან პარტიულ პროგრამის გარდუვალი აქსიომა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ როგორც მიზანშეწონილობისა და სარგებლიანობის შესაძლებლობა იმ კონკრეტულ პირობებში, რომელშიაც საქართველო იმყოფება ჯერ გეოგრაფიულად და შემდეგ როგორც სამყოფი (Lebensraum) ქართველი ერისა. ჯერ ერთი, საქართველო მეტად მცირე არეა, რომ მისი მეტი დანა წილება მართველობის ტენიკის მხრივ და ტერიტორიულად საჭირთ იყოს—მისი არე ძლიეს აღწევს 90,000. თუკუთხ კილომეტრს, დაახლოვებით უნგრეთის ოდენაა: ასე რომ სივრცის მხრივს საჭიროებდას არ მოითხოვს.

მსაჯერებთა მხრივ კი, დიდძალი უმეტესობა ქართველობა ან ქართველთა მონა თესავე ტომებია, რომელნიც ისტორიის მანძილზე გაქართველებულან და ესლა ქარ თული ეროვნულ შეგნებითა მხოვრობენ. ესა უმთავრესი! ეს ქართული ეროვნ ული შეგნება ასე მთლიანი და მტკიცე სხვა დროს არასოდეს არ ყოფილა და ვერც იქნებოდა კუთხობრივ-ფეოდალურ წესწყობილების დროს. კუთხობრივი ფსიხოლო გია და ვიწრო პატრიოტიზმი წაიშალა უკვე 19 და 20 საუკუნეებში. ხაზგასმით უნდა ვაღიაროთ რომ კუთხობრიობის მოსპობა ქართველობაში ერთად ერთი საკეთილა შედეგია, რომელიც ერთიანად და მტკიცედ ეტყობოდა საქართველოს რუსთა ბატო ნობის შემდეგ, მიუხედავად ამავე რუსთა მძაფრ ცდათა, ჩამოეცილებინათ ჩვენთვის ზო გი კუთხებები. გარდა ამ ქართულ ეროვნულ შეგნებისა მეორე შესანიშნავი მომენტია ჩე

1) იხ. R. Liefarame Geschichte und Kritik des Socsalimses Goundsatze d. Volksritschaftsletre.

ენი მსირერიცხვანობა; ჩვენ ისე პატარა ვართ, რომ მისი მართვა-გამგეობის აპარატის გამარტივება საჭირო და არა გართულება; უკვე ფინანსური მოსახრებით, რაც პირველ რიგში უნდა დაისვას თუ მართვა-გამგეობის ფორმის საკითხის გარკვევას შევხებით; განსაკუთრებით იმ გაძვალტყავებულ ქვეყანაში, რომელსაც მომავალში შეიძლება მხოლოდდა საქართველოს სახელი შეჩრჩეს; მით უმეტეს საქართველოს განთავისუფლების პირველ ხანებში, როდესაც გაჩახაგებულ ხალხის გადასახადებით ზედმეტად დაბეგვრა ზედმეტ საფრთხეს განუზადებს მის თავისუფლებას და სახელმწიფოებრივ წესრიგს. ამ გარემოებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. დამშეული, წელში გაწყვეტილი ქართველობა, თუ ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა, მეტად სათუთი და ნაწიხეული იქნება მართველობისთვის და რაიმე აქსიომებით მისი გავტკეპერიმენტება პოლიტიკური შეცდომა იქნება. მიფრები ჩვენი ქალაქებისა და ერთბაოა. ბიუჯეტი ყველას შეუძლია გაიხსენოს; მე კი მახსენდება კიდევ ის გარემოება, რომ თითქმის ყველა ჩვენი სათვითმართველო ერთეულებიდან, ქალაქებიდანაც კი შიკრიკები და დელეგაციები მოდიოდა ცენტრში, ფული მოგვაშველეთ, სესხი მოგვეცათო. მეტს ხარჯად ვენ შემოსავალზე, მუდამ და ყველგან დეფიციტი იყო. ეს შემდეგში არ უნდა განმეორდეს და ზომები უნდა მიღებულ იქნეს სამართველო აპარატის გათავისუფლებისთვის და არა გაძვირებისათვის, ყოველ შემთხვევაში დასაწყისში მაინც. აი, ამ მოსახრებითაც, საჭირო ხდება ფედერაციის საკითხი აკადემიურ სფეროში დარჩეს და არ გადავიტანოთ ის პოლიტიკურ მოთხოვნათა სადღეისო წესრიგში, არ გავხადოთ ის პოლიტიკური ბრძოლის ლოზუნგად. პარტიულ ფანატიზმის იარაღად, თორემ სარგებლობის ნაცვლად დიდად საზიანო შეიძლება გახდეს.

«წარსულში ფედერატიული წესი გვეჩინდაო:» განა ეს წარსული საკმაოდ ვიციო? ასედაც რომ იყოს. ისტორიული «რეტროსპექცია» სწორი მაინც არ იქნება! წარსულში საქართველოს ტერიტორიაზე ქართულ ენათა დიდი სხვა და სხვაობა იყო; ტომების სიმრავლე მეტი იყო და მათ შორის განსხვავება უფრო ღრმა და დიდიც. ეს სურათი ნათლად შენახული თვით ოქროს ეპოქაშიაც როდესაც საქართველო პოლიტიკურად გაერთიანებული იყო და მხოლოდ შემდეგმა საუკუნეებმა შესძლეს ამ ტომობრივ მრავალფერობის შესუსტება. მაგრამ მაშინ ქართველობა და საერთოდ საქართველოს მთასახლეობა, გაძლიერებით უფრო მრავალრიცხვანი იყო. ვიდრე ესლა და გაძლიერებით უფრო მდიდარი და დოვლათიანიც. შეადარეთ მაშინდელი და ეხლანდელი მიფრები ერთმეორეს და დასკვნაც ადვილი გახდება! მართალია, რომ ფსიქოლოგიურად ზოგი ჩვენი ტომები ერთმეორისაგან განირჩევიან, მაგრამ ეს გარჩევა, ესლა მეტად შესუსტებულა და განულებულია და ეხლანდელ სპირობებში საკმაო ნიადაგს ვერ შექმნის ფედერა

ციისთვის, რაც ძალიან განირჩევა დეცენტრალიზაციისაგან, რომელიც ფედერაციის ყოველთვის არ აულისხმობს მავ, ჩვენში ერთგები, ანუ კანტონალური (რეგიონალური) თვითმართველობა იყო და ზოგჯერ იმის საყვედური ისმოდა, რომ ეს კუთხობრიობა ნამეტან ვიწრო ფარგლებში იყო განსაზღვრული; ზოგი ამბობდა მავ კახეთ—ქიზი ყის გაერთიანების საჭიროებაზე; ზოგი კიდევ ქართლის ორად განაწილების აუცილებლობაზე და სხ. ეს იყო ზოგ მეთელუურეთა შთაბეჭდილება. ასე რომ დეცენტრალიზაცია მართველობის თვალსაზრისით ჩვენ გვექონდა და ზოგჯერ აზრის ტრიალებდა გადამიჯენის. მაგრამ პოლიტიკური უფლებების თვალსაზრისით ფედერაციის შემოღება მეტს გულისხმობს: ეს შემადგენელთა ნებაყოფლობით კავშირის ნიშნავს, ზოგჯერ კაც შირიდან გასვლის უფლების რეზერვითაც. მე არ ვიცი რა ფორმასა და ტიპს გულისხმობენ რომაცხლა ფედერაციის «მოითხოვენ» ჩვენთვის, რეგიონალურს, თუ კულტურულს პრინციპზე აშენებულს? ორივე პრინციპზე შეიძლება საქართველო ისე დაპყრო, რომ ქართველობას გაგლენა მოუხსნა. თუ ღრმად დაგაკვირდებით, ფედერაციის მოთხოვნა შეიძლება ჩვენთვის სახიფათოც გახდეს; იმაზე დამოკიდებული, მტერი განახორციელებს მას, თუ მოყვარე. თუ ჩვენს წილად მხოლოდ «მოითხოვნა დარჩა სხვას ბედმა განხორციელება არგუნა—შეიძლება ფედერაცია უფრო ბასრი იარაღი გამოდგეს ჩვენს წინააღმდეგ, ვიდრე ჩვენს სასარგებლოდ, მსხოვრებთა იმ გადაჯგუფებისა და ჩასახლების შედეგ, რომელიც ჩვენს უპატრონოდ შთენილ ქვეყანაში სწარმოებს სტიქიურათაც და შეგნებულადაც. სარისტული მთავრობა შეეცადა, მაგრამ ვერ შესძლო ქართლის მტრულად განზობა, ტირიფონაზე რუსთა ჩასახლებით, მაგრამ ბოლშევიკურმა რეჟიმმა მთელი საქართველო შუაზე გასჭრა სწორედ ფედერაციის პრინციპით: და ხედეთ რუქას!! ჩასახლებაც არ დასჭირებია! ეს გარემოება ნათლად გვაჩვენებს, რომ ფედერაციას დადებით მხარეებთან ჩვენს პირობებში ბევრი უარყოფითიც აქვს და მინამის პრაქტიკულ შემოღებას «მოვითხოვდეთ» და სადღესით პროგრამაში შევიტანდეთ, ყოველმხრივი შესწავლა გვმართებს.

შვეიცარიის მაგალითი მოსატანი არაა; იქ უცხო ბატონობის უღლის, თავიდან ასაცილებლად დაარსდა შეფიქვლთა კავშირი (Eidgenossenschaft) რომა ხალხი კიდევ გვაროვნულ—ტომობრივ სტადიაში იყო (Stamessverfassung) და ეს ტომები გაერთიანდნენ თავისუფლებისათვის ბრძოლაში მისდა შესანარჩუნებლად; მანამდე სულ ცალკე იყვნენ. ქართველობამ—კი გვაროვნულ—ტომობრივი სტადია დიდხანია განვლო და ესლა ის მტკაცუნ ეროვნული შეგნებითაა აღჭურვილი; ის გაერთიანებულაა შეგნებითაც, კულტურულადაც და პოლიტიკურადაც. შვეიცარიანე თუ შეგნებდით, აღვნიშნოთ, რომ არსად ისე მძაფრი არაა ლტოლვილება ცენტრალიზაციისაკენ როგორც შვეიცარიაში იყო



ომამდე და ესლამ არის: ჯარისა, ფინანსებისა და სხ. დარგში. შვეიცარიასზე შორს კი ჩვენ ნუ წაველთ. მართალია ჩვენი სამშობლო ძალიან დაყოფილია ადგილ მდებარეობით მრავალ კუთხეებად. მაგრამ დახედეთ ნორვეგიას, ბალკანეთის პატარა სახელმწიფოთ (საბერძნეთი და სხ.) შვეიცარიას—არანაკლები კუთხობრივი მრავალფერობაა იქაც, მაგრამ არსად დიდი კუთხობრივი, პოლიტიკური დანაწილება არ მომხდარა. არც შვეიცარიულ შტატების მაგალითია მისაღები: იქ თავიდანვე დაარსდა სალ სალკე სხ. და სხ. «სტიეტს» ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი, უმეტესად რელიგიურ ფანატიკოსთა ჯგუფებიდან; ეს კოლონიები გააერთიანა ბრიტანეთის ბატონობამ და მის წინააღმდეგ ბრძოლამ ხოლო ფედერატიული წესი დარჩა დიდი მანძილის გამო, რომელიც სალკე ახალშენთა შორის არსებობდა. რელიგიური განსხვავებას და ტერიტორიული დაშორებას ხელს უწყობდა მათ მართველობითი განსალკევეებას. ეს ჩვენში არაა. ამიტომ ამ პრინციპის საყოველთაოდ გატარების საჭიროებას არ არსებობს ჩვენში.

ნაწილობრივ კი, კუთხეებისათვის, მაგ: აფხაზეთი, აჭარა, სანიგლო და სხ. სალ ქო თვითმართველობა ჩვენში განზრახულიც იყო და დაწყებულიც. ოისთვის? იმისათვის რომ ამ კუთხეებში ერთგნული თვითშეგნება ნაკლები იყო! რელიგიურ ფანატიკოსობისა, თუ მენშევიკურ რეჟიმისა, თუ ჩვენ რასიულ მტერთა წინასწარად გაწყული მუშაობის გამო! ჩვენს სინამდვილეში ფედერატიული თვითმართველობის მოთხოვნა ახასიათებდა ერთგნულად ნაკლებად შეგნებულსა და ჩამორჩენილ კუთხეს. იმერეთს, კახეთს, ქართლს და სხ, ეს არ მოუთხოვია. სამაზრო თვითმართველობა ჩვენში, რომელიც უდრის ევროპის კანტონალურ თვითმართველობას, ყველას აკმაყოფილებდა!

თვით გერმანიაშიც ქალაქთა და თემთა თვითმართველობა (hemeinselbstverwaltung) ჩვენებურს ფარგლებს არ სცილდება, ხოლო ტომობრივი დანაწილების წინააღმდეგ თუ რა დიდი მუშაობაა (ხოგი «სახელმწიფო» გააუქმეს კიდევ) - საყოველთაოდ სწობილია. აქ ტენდენსია გაერთიანებისკენაა! ჯერ არ გავვიგია, რა პოლიტიკურ შინაარსს სდებენ შიგ ფედერაციას რომ მოითხოვენ. ჩვენი იჭვები ეხება იმ გარემოებას, რომ დეცენტრალიზაციისათვის ფედერაციასზე ლაპარაკობენ. ამ უკანასკნელს კი დიდი პოლიტიკური და არა მარტო ადმინისტრატიული—მმართველობითი მნიშვნელობა აქვს ყველა ერთა უფლებრივ თერმინოლოგიაში. ვინდათ დეცენტრალიზაცია? ესთა ვიდანვე შემოვიღეთ, ძალიან კარგათა. თანხმობაა! ფედერაცია? გვიბოძეთ სწობა რა უფლებრივი შინაარსით? ჩვენ უფლება გვაქვს მოვითხოვოთ სრული კონკრეტისა უფლებისა, ფუნქციებისა და სხ.. უბრალო შედარებით ვერ დავკმაყოფილდებით. ის კორიაში სწობილია, რომ ლეი მეთოთხმერის დროს ფრანგები მოითხოვდნენ გერ-

მანიის «ფედერატიულად» მოწყობას ისე, რომ მთელი რეინის მხარე «თავისუფლდებოდა», საფრანგეთის ვასალი ხდებოდა მრავალი სხვა კუთხეებითა და ქალაქებითურთ და სხ. მათ ეს ვერ გაიყვანეს. საქართველო გერმანია არაა. მისი კულტურის აკვანი, ძველი მესხეთი, ტაოკლარჯეთი და სხ. სხვას უკავია, და უკმაყოფილოა, ბათუმი—სთხუმი მაკლიათ. ახალ—ქალაქ-ახალსიხის მაზრები თავის ლუკმად მიაჩნია. შეიძლება ისეთი მართველობის დაშვება რომელიც მტერს მტაცებლობას გაუადვილებს? განა ქართლი განსაძდელში არაა? უნდა გაოსდეს?!

მე არ მგონია, რომ ჩვენმა თვითმართველობებმა, ჩვენს სინამდვილეში, ის უფლებებიც გამოიყენონ, რაც ჰქონდათ: თორემ ზედმეტს, კიდევაც რომ მიეცეთ ვერ შეინარჩუნებენ: ან მოყვარეზე დაკარგავენ, ან მტერზე. ეს მძიმე საკითხია, შეიძლება მთელი ქვეყნისათვის საბედისწეროც გახდეს. მით უმეტეს რომ დომინიონთა მაგალითები მოჰყავთ! დომინიონები მსხვრებთა მრავალრიცხოვნებით, სივრცით, სიმდიდრით და პოლიტიკური სილადით ჩვენზე შორს დგანან! მათ ზოგჯერ საკუთარი ელჩების წარგზავნის უფლებაც აქვთ უსწოთში. ამ ფაქტს აღვნიშნავთ და ვგონებთ, ეს საკმარისი იქნება და ვრწმუნდეთ რომ დომინიონთა მაგალითები ჩვენს სინამდვილეში მოსატანი არაა!

«მენშევიზმს ამით მოვიცილებთ», მართალია, რომ მენშევიზმმა სასოწარკვეთილება შეიტანა ქართველობაში და ამას უყურადღებოდ სტოვეებს ცინიკურად მენშევიზმის ხელმძღვანელობა. მე ხელთ მქონდა ერთი ქართველის ფრანგული წიგნაკი, სადაც საქართველოსათვის საკმარისად იყო მიჩნეული ერთი ფრანგის ლენერალი—იგი მეტს წესრიგსა და მშვიდობაანობას შეიტანს საქართველოში ვიდრე მენშევიზმს ჰქონდათ. ეს სასოწარკვეთილება და პასუხისმგებლობის იოტის ოდენა ნასახი რომ ჰქონდეს დამალაღატაკებელი მენშევიზმის ხელმძღვანელობას, მისთვის ეს სასოწარკვეთილება საკმარისი საბუთი უნდა ყოფილიყო რომ ქართულ საქმეს აქამდე ჩამოსცლოდა. მენშევიზმი ჩვენ უნდა მოვინელოდ და წარსულს სამუდამოდ ჩავაბაროთ საკუთარის შინაურის ძალეებით. და არა ცენტრიდან ჩამოსილებით ან მისი დატოვებით, არამედ ცენტრის პოლიტიკური ძალით ადებით. არა ლოდიკაა? თუ მენშევიზმი ძლიერია, ფედერაციას, როგორც ანტიმენშევიკურ იარაღს, ვინ შემოგაღებინებს. თუ მენშევიზმი წინასწარვე დაამარსხე შაშინ ფედერაცია, როგორც ანტიმენშევიკური იარაღი, სრულიად ზედმეტი ბარგია.

ისიც მართალია, რომ მენშევიკურმა რეჟიმმა საქართველოს კუთხეები ერთმანეთს გადაჰკიდა; რომ მან გულსიბობა დაბადა ერთვენელ მთლიანობისადმი, ერთვენულ საქმისადმი, და მრავალს იმედი მიჰხადა ჩვენი მომავლისადმი. ამიტომ მთრიგი საკი





თხი ჩვენი ემიგრაციისა იმაშია, რომ თავიდან მოვიცილოთ სიყალბე და პირმოთნეობა; რომელთაც მხოლოდ—და ორიოდვე პიროვნების ეგოისტური ზრახვანი ასაზრდოებს: კეთილშობილ ქართულ საქმეს ღირსიული ელემენტები უნდა დაეპატრონენ, იდიურად სპეტაკნი და მოქმედებით უანგარონი. ემიგრაციამ ეხლა მაინც უნდა შექმნას თავისი საკუთარი პოლიტიკური ცენტრი, მოქმედების ორგანო ერთნულ ძალთა და იდეურ მებრძოლთა გამაერთიანებელი, იჭვიმიუტანელ პირთა თავგამოდებულ თანამშრომლობაზე აგებული, ეს არის მორიგი და საშური საკითხი. ყოველი დაყვანება და ნაშაულს უღრის. ყოველმა მიმართულებამ საამისოდ მსხვერპლი უნდა გაიღოს და იმ წმიდა მიზანს შესწიროს, რომელიც გააერთიანებს ქართველობას განმათავისუფლებელ მოძრაობისა და ბრძოლების გამარჯვებით დამთავრებისათვის. ამა თუ იმ პრობლემის დასმა მაშინ უფრო გაადვილდება, მაგრამ ნურავინ შეიტანს დისკუსიაში ფანტიზმს და თავის «კატეგორიულ იმპერატივებს», რადგან უმთავრესი პრობლემა, უზუნესი ინტერესია ქართველ ერის ფიზიკური და უფლებრივი დაცვა—შენახვა.

გამოსავალი წერტილი ერთნული შეგნებისათვის უნდა იყოს მომენტის, ჩვენი ხანის, სწორი შეფასება; ჩვენი ხანა არაა მშვიდობიანობის, ნორმალური ხანა, არამედ დიდი ბრძოლების ეპოქაში გვიხდება ყოფნა და ამოცანა, ამ ეპოქიდან ქართველობა მოგებულნი გამოვა თუ წაგებულნი. მსოფლიო ომი ტენიკურად დამთავრდა, ზნეობრივად კიდევ უფრო გამძაფრდა. დაუნდობელი და სასტიკი ბრძოლება ყველა დიდ სახელმწიფოთა შინაურებაში და უნებლიეთ გვაგონდება კვისარ ტრაიანეს? ეპოქა, სულ მშვიდობიანობაზე რომ ლაპარაკობდნენ, ოსწებობდნენ და დაუსრულებელი ბრძოლები, შფოთი, მღელვარება და ომები კარს ადგათ ერებს.

ასეთ ეპოქაში, განსაკუთრებით კავკასიის ხაზზე, სადაც მრავალი შინაურ და გარეშე მტრების მოქმედებასთან გვაქვს და კიდევ გვექნება საქმე, ასეთ რთულს პირობებში საჭიროა სასტიკი ერთნული დისციპლინა, მკაცრი შემჯიბროება ერთნულ ძალთა, ბასრი და მახვილი ერთნული ნებისყოფა, იმავე დროს სრული ერთნულად მიზან შეწონილი მოქმედების წარმოება მსოფლიო მოვლენათა რთულს ხლართში. მარტომწყობრები არ კმარა ბრძოლაში: საჭიროა მათი შეკავშირება და მთელს ბრძოლის ხაზზე საერთო ტაქტის აღება. ამიტომ ჩვენს მორიგ, საშური საკითხად ჩვენ მიჩნეული გვაქვს პოლიტიკური მთლიანი ცენტრის შექმნა ერთნულ ძალთა გაერთიანებისათვის და დამოუკიდებელ მოქმედებისათვის, განმათავისუფლებელ ბრძოლის გასამარჯვებლად. ამ მხრივაც ფედერაციის პრობლემა მეორე რიგში თავსდება, საშური მას არა აქვსრა. ჯერ მოახდინეთ შეკავშირება (ფედერაცია) ერთნულ ძალთა ემიგრაციაში, მხოლოდ შემდეგ გვექნება უფლება ვიმსჯელოთ ფედერაციის აუკარგიანობაზე განთავისუფლებულ საქართველოს მომავალში.

ტიტე მარგველაშვილი.

## სადღესო საკითხი.

(დასაწყისი იხ. «ახალი ივერია N 3»)

საქართველოში მომხდარ აჯანყებათა მთელი სერია; საამაყო მამულიშვილთა დაუზოგავი თავგანწირვა; ქართველი ხალხის ეროვნული გამძლეობა, პოტენციალური ენერჯია და მისი მეზობელი ძალების საპირა მომენტისათვის მუდმივად მზად ყოფნა—ყოველივე ეს იმის მომასწავებელია რომ ჩვენი ქვეყანა დაწყებულ ეროვნულ გამანათავისუფლებელ ბრძოლას გამარჯვებით დაამთავრებს.

მაგრამ ქართული ეროვნული ემიგრაცია ამ მომენტის მოსვლას გულხელ დაკრეფილი ვერ დაელოდება.

ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე და საპასუხისმგებლო მუშაობის წარმოება მოუხდება საზღვარ გარეთ მოქმედებულ ეროვნულ ძალებს, რადგან საქართველოს საკითხი გადაჯაჭვულია მთელ-რიგ ევროპის მაშტაბით გადასაწყვეტ მოვლენებთან. ამ მოვლენათა განვითარებაში და სათანადო მომენტის დაჩქარებაში ღირსეული ქართული წვლილის შესატანად აუცილებელია, რომ ჩვენმა პარტიამ მთლიანად — ერთი მისი წევრის გამოუკლებლივ და მასთან ერთად ყველა სხვა ქვეშაირიტად პატრიოტულმა ძალებმაც თავი დაახწიონ მენშევიზმის მესვეურობას ამ უცხოეთში; იმ მენშევიზმის, რომელიც ხუთავს ქართულ ეროვნულ სულს და აბრკოლებს მის ეროვნულ შემოქმედებას.

ღრთა ევროპის ასპარეზზე გამოვიდეს ნამდვილი ქართული ეროვნული თაობა, ნაცვლად გაკოტრებული და უარყოფილი სოციალისტური თაობისა, რომელიც ნაე ქორდანიათი დაიწყა და მისითვე თავდება. მაგრამ ამისათვის საჭიროა რომ ზოგიერთმა პირებმა რომელნიც თავის თავს ეროვნულ დემოკრატებს ეძახიან ხელი აიღონ პირად ანგარიშებზე და ქართულ პრობლემას შეხედონ მისი უკვდავებისა და იდეური სისპეტაკის სიმალლიდან.

იმ თითო ორთა «ეროვნულ—დემოკრატებს» რომელნიც მენშევიკთა ბანაკში უკვე გადაბარგდნენ ან ესლა ცდილობენ გადაიბარგონ, ეროვნულ პოლიტიკურ აზროვნებაში მხოლოდ დაბნეულობა და არევე—დარევე შეაქვთ, რაც უაღრესად მავნებელია გარკვეული ეროვნული მოქმედებისათვის.

ამ ათი წლის განმავლობაში ქართულ სინამდვილეში მომხდარია რადიკალური ცვლილებები, რომლებმაც ამ უჯანასკნელს სრულიად ახალი სახე და ორიენტაცია მისცა—ეს არის სოციალიზმისაგან ჩვენი ქვეყნის სრული განკურნება, მენშევიზმისა და ბოლშევიზმის სახით სოციალიზმის ექსპერიმენტების წარმოებამ და ამ მოძღვრების სასდელ ლაბორატორიად საქართველოს გადაქცევამ, ქართველ ხალხს მარქსიზმის ნამდვილი რაობა დაანახა და დღეს არსებულ სოციალისტურ ძალა-





დობასთან ერთად ერთხელ და სამუდამოდ მარქსისტულ-სოციალისტური იდეებიც იმარხება.

ამით აიხსნება მენშევიკური პარტიის პოლიტიკური გაკოტრება და მისი ორგანიზაციული რღვევის დაჩქარებული პროცესი.

ეს მოვლენები—ერთის მხრით ყველა ფორმებზე ეროვნული იდეათა პოზიციების გამაგრება, ხოლო მეორეს მხრით მარქსიზმისა და ინტერნაციონალიზმის დაშლა განადგურება—ისეთის ჩქარის ტემპით და ისე სტიქიურად ვითარდებიან, რომ ეროვნული დროშის მატარებელ ქართულ დემოკრატიულ პარტიას დიდი მუშაობა მართებს, რომ ძალა დარაზმული ჩადგეს ამ მომწიფებულ ისტორიულ პროცესში და მას წინამძღვრობა გაუწიოს. ეს იშვიათი და ჩვენს ტანჯვით აღსავსე ისტორიაშიც განსაკუთრებული ისტორიული პერიოდი, ქართულ ეროვნულ პარტიასაც განსაკუთრებულ ამოცანებს უყენებს. თუ გვინდა დროისა და მოვლენობის სიმძლავრე აღმოჩნდეთ და ჩვენს მენშევიკებივით არ დავალაპტიანოთ ჩვენზე იმედ დამყარებელი, ახრებელი ქართველი ბაღში,—ჯერ უნდა ბოლო მოუღოთ იმ უთანხმოებას, რომელიც ჩვენში არსებობს და მერე საერთო ენა გამოვნახოთ ჩვენს მონათესავე ეროვნულ პატრიოტულ წრეებთან, რომ შესაძლებელი გახდეს საერთო დარაზმულობის განხორციელება საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ.

მაგრამ როცა ძალთა გაერთიანებაზე და საერთო დარაზმულობაზე ვსწერ, მე არ ვგულისხმობ მენშევიკებთან გაერთიანებას, რადგან შეუძლებელია რაიმე ნორმალური ურთიერთობა და თანასწორ-უფლებიანი გავშირი იმ პარტიასთან, რომელიც ყოველგვარი საშვალებით მხოლოდ თავისპეგემონიისათვის იბრძვის (იხ. «ბრძოლის ხმა» №3) ქართულ მენშევიკურ პარტიასთან ერთად ყოფნა ამჟამად ჩვენთვის მიუღებელია არა მარტო პოლიტიკურ—ტაქტიკური მოსაზრებით არამედ მორალურადაც. ჩვენ არ შეგვიძლია მენშევიკებთან ერთად ყოფნით საქართველოს ისტორიის წინაშე ვიგისროთ პასუხისმგებლობა მენშევიკების დანაშაულებით სავსე წარსულზე და მომავალში მოსალოდნელ ახალ დანაშაულებებზე. შეუძლებელია ერთადყოფნა იმ პარტიასთან, რომელსაც თავის აქტივში 30 წლის ანტიეროვნული და საქართველოს უფლებათა მოთხრა-უარყოფის მეტი არაფერი უწერია. გარდა იმისა მენშევიკებთან ერთად შეუძლებელია ნამდვილი ეროვნული პროპაგანდის წარმოება. ეროვნული იდეების გამეფება, ნამდვილი ეროვნული პოლიტიკისა და ამ პოლიტიკასთან შეფარდებით ეროვნული ტაქტიკის გატარება. ჩვენი და მენშევიკების ათი წლის ურთიერთობის ისტორია ამას იშვიათის სისხადით ამქლავებს.

ამის არ დანახვა შეუძლებელია და ვინც ამას ხელს აფარებს და კვლავ მენ-



შევიკების პეგემონიის ქვეშ ნებაყოფლობით დადგომას ქადაგებს ის ამ საკითხში მოკლებულია ყოველგვარ იდეურობას და პირად ანგარიშებს დაექმებს.

მენშევიზმი თვით ისტორიამ გაამართაბა და სასიკვდილოდ მიწას დაანარცხა, ამიტომ «ფრანტები თა» თუ სხვა «კომბინაციებით» მისი ფეხზე წამოყენების ყოველგვარი ცდა დიდი პოლიტიკური დანაშაულია.

როცა მენშევიკურ პარტიაზე ვამბობ სახეში მყავს მენშევიკური მთავრობაც და როცა მენშევიკურ მთავრობაზე — მაშინ მენშევიკურ პარტიასაც ვგულისხმობ რადგან არ ყოფილა მომენტი მთელი ამ ხნის განმავლობაში რომ ეს «მთავრობა» პარტიის ბიურო არ ყოფილიყო და ამ ორი დაწესებულების სხვა და სხვაობა რამეში გამოქვეყნებულიყო. ეს ბუნებრივიცაა, რადგან «მთავრობის» თავჯდომარე ნ. ჟორდანიას ორგანიულად არ შეუძლიან წინააღმდეგობა გაუწიოს მენშევიკური პარტიის თავჯდომარე ნ. ჟორდანიას, ამიტომ ეს ორი აპარატი ერთად შეთავსდა, ერთმანეთს შეუდულდა, მაგრამ ჟორდანიასში პარტიის ინტერესებმა სძლია ერთგული მთავრობის ინტერესებს და საქართველოს საკითხიც პარტიული, მენშევიკურ გზით ინტერნაციონალისაკენ წარიმართა. ამით უნდა ავსხნათ ამ «მთავრობის» თუ ბიუროს მთელი რიგი ისეთი ნაბიჯები, რომლებიც ხელს უწყობენ საქართველოში დღევანდელი მდგომარეობის განმტკიცებას — ბოლშევიკების გამაგრებას.

მე მხედველობაში მაქვს არა მარტო ქართველი მენშევიკების მიერ ხელმოწერილი მე 2-რე ინტერნაციონალის დადგენილებები, რომლებიც საბუთათა კავშირის სნობასა და მის დასვას მოითხოვენ, არამედ აქლოვილში და ვანვში საკუთარი ხელით დაწერილი დოკუმენტებიც, რომლებიც საქართველოს საკითხს საერთაშორისო ხასიათს უკარგავენ და ჩვენნი დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეს ევროპის დღის წესრიგიდან ხსნიან. (იხ. მენშევიკების უკანასკნელი მემორანდუმი წარდგენილი 2-რე ინტერნაცი. ეკზეკუტივში). ასეთ მაგალითების მნახველ ემიგრაციას რასაკვირველია არ შეეძლო ღონისძიებანი არ ეხმარა, მაგრამ როცა ყოველგვარი ზეგავლენის იმედი საბოლოოდ დაიკარგა — ფართე ემიგრანტულმა საზოგადოებამ «მთავრობისგან» პირი იბრუნა.

მთავრობის იწოლიაპიის პროცესი ემიგრანტობის პირველ დღიდანე დაიწყო. მისმა უკუღმართმა პოლიტიკამ მთავრობას ემიგრაციის ფართო წრეები ჩამოაშორა და დაუქარგა ის უკანასკნელი პარტიისცემი — ნდობაზე რომ არ ვილაპარაკოთ



—რომელსაც გადმოხვეწილი ქართველობა მას ძალაუვნებურად და ფორმისათვის სცემდა. ამგვარად, დღეს ათი წლის დასასრულს ჩვენი ემიგრანტული სინამდვილე ასეთ სურათს წართოდადგენს:

ემიგრანტული ძალები ძალზედ დაქსაქსულია; ერთობის შეგნებისა და გრძნობის ადგილი წვრილ—წვრილმა ინტრიგებმა დაიპყირეს. გამეფებულია მტრობა და შურაანობა, იწერება «დანოსები» და ითხზება ყალბი საბუთები. ყოველივე ეს წამოყენებულია პირველ რიგში და სწრდილავს თვით საქართველოს საკითხს.

ამ სინამდვილის დასამყარებლად სხვებზედ უფრო ჩვენმა ოფიციალურმა «ქირისუფლობამ» იმუშავა — ლოტბარის ჯოჯი მას ექირა. ემიგრაციაში დაქსაქსულობის შეტანით მას საკუთარი სიმტკიცის აგება სურდა მაგრამ ემიგრაცია რისი ემიგრაცია იქნებოდა, რომ ნორმალური დროის divide et impera-ს კანონი კანონად დარჩენილიყო მთავრობა თვით გადაყვა თავის წვრილმან ინტრიგებს და დღეს ნდობა დაკარგული და პატივ—აყრილი გარიყულად ატარებს თავის უსიხარულო დღეებს.

ყველა ეს ერთად აღებული ჰქმნის ჩვენი ემიგრაციის სისუსტეს და აფერხებს მის წიაღში არსებულ სხვა ძალთა ნაყოფიერ მოქმედებას. ეს მდგომარეობა ასევე გარქმედება და ემიგრაციის არსებობასაც ყოველი აზრი დაეკარგება, თუ გავჯიუტდით და მომავალში რაღაც უსწრაფი შიშით, სინამდვილის დანახვას დავერიდეთ.

სხვა რეების მიერ გამოტანილი განაჩენის უყურადღებოდ დატოვება სჯგის საზოგადოებას და არღვევს მის სასიცოცხლო გავშირებას. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავიგოთ, რომ ჩვენი მთავრობის ხელმძღვანელობა, რომელიც საქართველოში საბედისწერა იყო ემიგრაციაშიაც საბედისწერაა.

ეს ხელმძღვანელობა პრინციპიალურად შეურიგებელია ქართული საქმის აღორძინებასა და მის ზრდა—განვითარებასთან. ამ ფაქტიური სინამდვილიდან ემიგრაციამ ლოლიკური დასკვნა უნდა გამოიტანოს თუ მას პოლიტიკური სიკვდილი არ სურს და შეგნებულად თავის თავის გაბათილება არ გადაუწყვეტია.

მან უნდა შეემნას ახალი ორგანო და ამ ორგანოში ისეთი პირები შეიყვანოს რომელთა პოლიტიკური და მორალური ავტორიტეტი ყოველგვარ იქვს გარეშეა.

საქირთა ახალი დარაზმულობა, ახალი ორგანიზაცია, ხადაც თავს მოიყრის ყველა მემარჯვენე—ერთოვნილი ძალები; ამით შეიქმნება ნამდვილი ერთოვნილი გაერთიანება—ერთოვნილი ცენტრი და ბოლო მოეღება «სუბსიდიების» მისაღებად არსებულ ფიქტიურ «ფორმებსა» და «ცენტრებს».

ანტიოსციალისტურ, ერთოვნილი ძალთა და ორგანიზაციათა ქართული დრო-

შის ქვეშ გაერთიანებით, ფაქტიურად მაინც შეიცვლებიან ქართველი ერის სეპტე-  
დის მესაქენი და საქართველოს საკითხიც გაყინვის წერტილს გადასცდება.

ერთი მიზნის მისაღწევად გაერთიანებულთა საქმიანობა მეტ ნაყოფს მოგვ-  
ცემს და უნდა გვჯეროდეს, რომ ერის ინტერესებისათვის ერთსულოვნება ამ ბოლო  
საც ისევე მოგვავებინებს, როგორც საუკუნეთა მანძილზე ამ ერთსულოვნებით სა-  
ქართველოს არა ერთხელ გაუმარჯვნია.

ეს არის ემიგრაციისათვის სადღესო საკითხი, საკითხი რომლისგანაც არის  
დამოკიდებული ჩვენი მომავალი და თუ გვწამს უზუნაესობა საქართველოს ინტერე-  
სებისა უნდა დაუყონებლივ მივიღოთ ზომები, რომ «უფსკრულის პირზე» მიყვანილი  
ქართული საქმე სწორ ვხაზე შესდგეს; მაგრამ თუ ჩვენ იმდენათ უბედონი ვართ, რომ  
გვიწერია აქ დევნილად სული ამოგვხდეს—ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო რ ო დ ი ს მ ე მ ა ი ნ ც  
გ ა ი გ ე ბ ს , რომ მის დასახსნელად არავის და არა ფერი და გვიხოგავს.

ს. ცომაია.

### სიმართლისათვის!

გაზ. «თეთრი გიორგის» №23 ბ—ნი ლეო კერესელიძე სწერდა: «როდესაც 1920წ  
ბოლშევიკებმა სასომხეთი დაიპირეს, ჩვენმა მთავრობამ ამ ქვეყნის შინაგან არეულო  
ბით ისარგებლა და გომბორის მიმართულებით სასომხეთის ტერიტორიის ნაწილი და  
იპირა manu militari. ამ ოკუპაციას არავითარი იურიდიული საფუძველი არა ჰქონია.

დაუშვათ რომ ჩვენ მთავრობას გაუწყრა ღმერთი და მართლაც სხვისი ტერიტ-  
ორია დაიპირა, მერე ეს უნდა უსაყვედუროთ მას? რომელი ქვეყნის ლენერალი იტყვის,  
რომ მისმა მთავრობამ სხვისი ტერიტორია უკანონოდ დაიპირა? ყოველ შემთხვევაში  
თუ ვინმე ლენერალი ასეთ რაიმეს იტყვის, მას უსათუოდ სასამართლოში მისცემენ. მა-  
რთლა დაიპირა ჩვენმა ჯარმა სასომხეთის ტერიტორია?

ყველას მოეხსენება, რომ საქართველოსა და სომხეთის ომის შემდეგ 1919წ ინგლ  
ისელების მოთხოვნით, ტერიტორია-სად. სადახლოდან ვიდრე სად. სანაინამდის და ლო-  
რი გამოცხადებულ იქნა ნეიტრალურ ზონათ. 1920წ. როდესაც სამართა რუსეთმა სასო-  
მხეთი დაიპყრო, მდგომარეობა შეიცვალა. ერთის მხრივ აღარ ზრებობდა ფაქტიურ-



ად ის სახელმწიფო რომელთანაც საქართველოს ხელშეკრულება ჰქონდა დადებული და მეორეს მხრივ საქართველოს დიდი საფრთხე მოელოდა, რადგან რუსების ჯარს არ აფერი უშლიდა, ეს ნეიტრალური ზონა დაეჭირათ. მაშასადამე დაიჭერდნენ საქართველოს ტერიტორიას და რაც მთავარია დედა-ქალაქს უშუალოდ დაემუქებოდნენ. მასთან ოსმალეთის ჯარმა იწყო მოძრაობა, რომ ნაწილი ამ ნეიტრალური ზონისა დაეკავებინა. თავის თავად სხადია რომ საქ. მთავრობას მდგომარეობით უნდა ესარგებლა და საქ—ის ტერიტორია, რომელიც უცხო ძალის მოთხოვნილებით უკანონო იყო ჩამოშორებული, ისევ დაებრუნებინა. ამას მოითხოვდა სახელმწიფო და სტრატეგიული ინტერესები. მაშ რომელ სასომხეთის ტერიტორიაზე ლაპარაკობს ბ-ნი ლეო კერესელიძე? დაახლოვდეს მაინც უფრო ნათლად! ეგებ ლორი არის სომხეთის? ანდა აღმოსავლეთ—სამხრეთი ნაწილი ბორჩალოს მაზრის? აქ ხომ დიდი ნაწილი სულ ქართველთა მამულებია—თრბელიანების, მელიქიშვილების, მალალაშვილების, აფხაზების, სუბატაშვილების და სხვათა. მაშ სად არის სომხეთის ტერიტორია? ყოველ შემთხვევაში გენერალს თავის ქვეყნის გეოგრაფიის ცოდნა მოეთხოვება. ასეთი რაიმე პოლიტიკური მოღვაწემ რომ დასწეროს პოლიტიკური უპასუხისმგებლობაა, მაგრამ როდესაც ამას გენერალი სწერს ეს უკვე სახელმწიფო დანაშულია.

მაგონდება ერთი ანალოგიური ამბავი, რომლის მოწმე არის პატივცემული გენერალ ბაქრაძე. ახალციხის მაზრიდან 1919წ. ჩვენმა ჯარმა ოსმალეთის ბანდები გარეკა და საზღვრებზე დადგა. მოვიდა ბრძანება, რომ ჯარს წინსვლა განეგრძო და არდაგინის ოლქი დაეკავებინა. ამის გამო გვარდიის ერთმა გუნდმა მიტინგი გამართა და ერთმა ორატორმა შეჰდევინა სიტყვა სთქვა: «ჩვენ მოვითხოვთ ვიცოდეთ მიზანი ჩვენი მოქმედებისა. ჩვენ იმპერიალისტები არა ვართ და სხვის ტერიტორიას ვერ დავიპყრობთ. თუ საერთაშორისო მდგომარეობა შეიცვალა, ვალდებულია სამხედრო მინისტრი ნოე რამიშვილი ჩამოვიდეს და მოხსენება გაგვიკეთოს.» ამოდ უმტკიცებდა განსვენებული გენ. ართმელაძე რომ ეს საქართველოს მიწა—წყალია. თუ იმ გვარდიელისგან ასეთი უცხოება გასაგებია, გენერლისათვის ეს მეტად სამარცხვინოა.

იმავ გავითის N-36-ში ვინმე «მეგობარის» წერილში «შავი დღე»—შემდეგს ვკითხულობთ: «ბათომი თურქებს პოლკ. ფრიდონ წულუკიძემ ვაქაპური ბრძოლით გამოგლიჯა ხელითგან, ქობულეთთან მტრის-სასტიკად დამარცხების შემდეგ.» რომ პოლკ. წულუკიძე კარგი ოფიცერი და ვაქაპია ეკუთვნის გარეშეა, მაგრამ რამდენადაც ჩვენ მას ვიცნობთ, ვფიქრობთ რომ მას თითონ არ ესაიამოვნებოდა ასეთი ქება დიდება.

სიმაართლეა რომ ფრ. წულუკიძეს გმირული ბრძოლა ჰქონდა ოსმალეთთან, მაგრამ იმის მტკიცება ვითომც მხოლოდ მან გამოგლიჯა ბათომი მტერს, მეტად გადა

მეტებულია. ამის შესწავლას ისტორიული სიმართლე მოითხოვს. ფრ. წულუკიძეს ქობულეთთან მტერი სასტიკით არ დაუმარცხებია და ვერც დაამარცხებდა, რადგან ქობულეთთან არავითარი ბძოლა არა ყოფილა. ბათუმისათვის ბროლა სწარმთებდა თვით ბათომთან და მის სიმაგრის ფორტებზედ. როდესაც ამ ბროლას შეეხება ვინმე შეუძლებელია არ მოიხსენიოს, ბათუმის კომუნდატი განსვენებული გენ. ფურცელაძე, რომელმაც ბრწყინვალედ ჩაატარა ეს ოპერაცია. ბროლაში მონაწილეობას იღებდნენ ყველა ნაწილები ჯარისა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩვენი საამაყო არტილერიის თავგანწირული ბროლა, რომელსაც სულახოლო ტეცხლზე უხდებოდა მტრის იერიშების მოგერიება, და რომელმაც მხოლოდ ერთ ბროლაში ორ ნატარეაში დაკარგა ოცი კაცი. (თითქმის სულ სტუდენტები) პლ. ფრ. წულუკიძეს ჰქონდა მეტად გმირული ბროლა. მან ცხენოსან წყობილებაში მიიტანა იერიში ერთ—ერთ ფორტზე ბევრად უფრო ძლიერი მტერზე და ის აიღო, ასეთივე იერიშით აიღო მეორე ფორტი მეორე ესკადრონმა პლ. მაჭავარიანის უმფროსობით ასე რომ ფრ. წულუკიძის მოქმედება, ერთ მომენტაგანია იმ ბროლის ბათუმისათვის, რომელიც ჩვენი ჯარის გამარჯვებით დამთავრდა.

ამავე წერილში ავტორი მეტად უდიერად მოიხსენიებს მთავარ—სარდალს. ნუთუ და იმსახურა ასეთი მიპყრობა მთავარ—სარდალმა იმადგან, ვინც თავის დავს პატრიოტს უწოდებს? ნუთუ აუცილებელია ყველას ლანძღვა? «ბძოლის ძმა»—სთან ერთად მთავარ—სარდალის წინააღმდეგ გამოლაშქრება მეტად არა კეთილშოგილური საქმეა!

რით უნდა ებრძოლა იმ მთავარ—სარდალს, რომელსაც სრულიად არ ყავდა სათანადო ჯარი? იმ მთავარ სარდალს, რომელიც ისეთ პირობებში იყო რომ, პროვინციიდან მოსულთ მოხალისე-მოწაფეებს, მწამსე თოფებს აძლევდნენ და ფრონტზე ისტუმრებდნენ დავმარცხდით იმისთვის რომ ომისათვის არ ვიყავით მომზადებული იყო ამის მიზეზი ეს გენერალური შტაბის და მის უფროსის გენ. ზაქარიაძის საიდუმლოებას შეადგენს.

ნიკ. ნაკაშიძე.





საქართველოს დამოუკიდებლობის  
კომიტეტს — პარიზში.

დავით. მსვიდისა.

### მოხსენება.

მე ჩემის ნებით ჩავერიე საქართველოს განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ამ ოთხი წლის განმავლობაში ვიყავ დაპატიმრებული სამჯერ, თითქმის ორი წელი გავატარე ციხეში.

უკანასკნელად ციხიდან განთავისუფლების შემდეგ მე, როგორც სამხედრო პირს და ისიც ფრიად შემჩნეულს, აღარ შემეძლო ლეგარული ცხოვრებისა და მუშაობის გაგრძელება. აუცილებელი გახდა-იარაღით ხელში ტყეში, გავჭრილიყავ დაემორჩილებულიყავ საქართველოს განმათავისუფლებელ მოძრაობის ცენტრალურ ორგანოს და სამეგრელოში მომემზადებინა შეიარაღებული გამოსვლა. თითქმის წელიწად ნახევარი გავატარე ტყეში; კავშირი მქონდა საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტთან ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ცეკას საშუალებით. ამ ხნის განმავლობაში მე არ ვაწარმოებდი თავდასხმებს მთავრობის ორგანოებზე, ვიპავედი მხოლოდ თავს; გავშორდი სამეგრელო-აფხაზეთს და თავი შევავაჯე სენანეთის მთებს ნესტორ გარდაფხაძეს და ოთარ დადიანთან ერთად. ყოველივე ამას ჩაედიოდი იმ მოსაზრებით, რომ არ გამომეწვია მთავრობის მხრივ რეპრესიები სამეგრელოში და ამით წინასწარ არ გამენადგურებინებია სამეგრელოს ის ცოცხალი ძალები, რომელსაც უნდა დავეყრდნობოდით საერთო შეიარაღებულ გამოსვლის დროს.

ჩემი შეხედულება საბოლოო გამოსვლების შესახებ სრულიადაც არ განსხვავდებოდა დამოუკიდებლობის კომიტეტისა და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ცეკას შეხედულებისაგან — სახელდობრ, რომ ჩვენი გამოსვლა მთლიანი ამიერ-კავკასიისა და მთის მასშტაბით უნდა შეგვეფარდებინა ან საერთოდ რუსეთის შინაურ რღვევის პროცესისათვის, ან და ევროპის სახელმწიფოების მიერ რუსეთის მიმართ აქტიური სამხედრო გამოსვლებისათვის, თუ კი ან ერთი ან მეორე ფაქტი განდებოდა.

ჯერ არც ერთი და არც მეორე როგორც ნაც — დემოკრატიული პარტიის ცეკიდან მატყობინებდნენ მოახლოებული არ იყო. ჩვენც ამის შესაფერად შედარებით შორეული მომენტისათვის ვემზადებოდით. მაგრამ 1924 წელ, მაისში ჩვენს მზადებაში სულ სხვა ტემპი შემოიტანა ევროპიდან — განსვენებული ჩხიკვიშვილისა და



ჯუღელის ჩამოსვლამ. პარიტეტული კომიტეტის გადმოცემით მოახლოვდა დრო ჩვენი საბოლოო გამოსვლის. ევროპის ზოგიერთი სახელმწიფო გვეპირდება რეალურ და ნმარებას, ზოგი სხვა კიდევ მორალურს. ერთი სიტყვით ჩვენი გამოსვლა და ევროპის აქტიური დახმარება ფაქტიურად იქნებოდა რომ საგანგებო დავალებით ჩამოვიდნენ ევროპიდან ჩიკივიშვილი და ჯუღელი — ასეთი მოთქმა მოთქმა არის სამეგრელოში.

გადის თვეები ამის შემდეგ, გამოსვლა არ ხდება იქერენ ერთსაპ, მეორესაპ ამ დროს ხდება სწორედ განსვენებული ნესტორ გარდაღბაძის და ოთარ დადიანის მიტყუილება მთავრობის მიერ; მეც ვიყავ მიპატივებული, სიპოტხლის გარანტიით. მაგრამ ტყვეში დარჩენა ვამჯობინე, და უარით უუპასუხე საშა გეგეჩოვრის წერილს.

აჯანყებამდე დაახლოვებით ხუთი დღის წინ, მე დამიკავშირდნენ სამეგრელოში პარიტეტას ორი რწმუნებული ერთი ს. დემოკრატი ერთი მ. ნაპ. დენოკრ. გადმომცეს რომ გადაწყვეტილია პარიტეტის მიერ, მოხდეს შეიარაღებული გამოსვლა ამ დღეებში: რომ ჩვენთან ერთად გამოდის აზერბეიჯანი და მთა: რომ ევროპიდან მიღებული გვაქვს 50.000 კასის სრული შეიარაღება, რას ოსმალეთში იმყოფება და საქართველოსკენ მოაქვთ. გადმოვიღენ 1000-მდე მოხალისენი ევროპიდან: რომ აჯანყების მთავარი ხელმძღვანელი ნოე რამიშვილი უკვე მოსულია ბათუმში და სხ. გადმომცეს სხვა საქირო განკარგულებები და სამხედრო ცენტრის გადაწყვეტილება, რომ მე მევალებოდა სამეგრელოს დაკავება, შემდეგ ვინიშნებოდი სამეგრელო — ფხაზეთის სხენოსანი რაზმების მთავარ სარდლად და ფოთის მიმართულებით უნდა გავლაშქრებულყავ სოხუმზედ. აქედანვე უნდა წამოსულიყვნენ სვანებიც დალის მიმართულებით.

ავგისტოს 26 ხელაბლად მოვიინენ. და დამინიშნეს გამოსვლის დრო ოცდა რეიდან — ოცდაცხრას, ლამის 3 საათი. მე უყოყმანით დავემორჩილე ბრძანებას და ვინიშნეთ ქალაქი ახალსენაკის ახლოს თავმოსაყრელი ადგილი, სადაც დაღამების შემდეგ უნდა მოსულიყვნენ რაიონებიდან პარტიული რაზმები. მაგრამ საუბედუროდ ამას ხელი შეუშალა მთავრობის მიერ წინასწარ მიღებულმა ზომებმა. დანიშნული საათი მოახლოვდა, ხელში შემარჩა 13 კაცი. ქალაქში უკვე სხრა საათიდან ხდებოდა სროლა მთავრობის სადარაჯო ნაწილების მიერ, რომელნიც გარს შემორტყმულნი იყვნენ ქალაქს. დაკავებული ჰქონდათ გზები და ესროდნენ ჩვენს შესაერთებლად მომავალ რაზმელებს.

ნაშუაღამევს, 4 საათზე, 18 კაცი. შევიკერი ქალაქში და გათენებამდე ქალაქის ყველა შეიარაღებული ძალები დავიმორჩილე და დავატყვევე ხელისუფლება, მთელი თავისი ორგანოებით. შევადგინეთ დროებითი მთავრობა, დავამყარეთ წესრიგი და სხ...



ამის შემდეგ მოვახდინე მობლიზაცია, შევპარე სულ 700-800 კაცამდე და გავხსენ-  
დი ფრონტი ორი მიმართულებით—ფოთისა და აბაშის.

აღსანიშნავია ხალხის სულისკვეთება. მისი ზეიმი, ეროვნული დროშების გამო-  
ფენა, მებრძოლი სულის აღტიკინება და იარაღის ასხმა ვისაც კი შეეძლო. შედარებით  
სერიოზული ბრძოლა მოგვიხდა აბაშის მიმართულებით, საიდანაც მტრის დიდი ძა-  
ლა მოგვაწყდა. უკუტყეულ იქმნა ჯავშნოსანი მატარებელი, მოკლული მისი უფროსი  
გოცირიძე და ათიადე წითელ არმიელი—რუსი. ავიღეთ დაბა აბაშა. ამის შემდეგ შე-  
უტიეთ სამტრედიის მიმართულებით: მოგვიხდა შეტაკება რუსის ნაწილებთან, განვა-  
იარაღეთ და წინ წავეწიეთ, დავიკავეთ ცხენის წყლის ხიდი და ნვერსზედ მიუახლოვე  
დით სამტრედიას. ამის შემდეგ ვლებულთბ ცნობას რომ გარდა იმ უამრავი ძალებისა,  
რომელსაც სამტრედიის მიმართულებით შევხვდით, ზურგიდან გვივლიდნენ დიდი ძა-  
ლები სოხუმიდან.

სხ. და სხ. მიწეების გამო იძულებული გავხდი უკან დამეხია; დავსტოვეთ აბაშა  
სენაკი საიდახაც წავეყვანეთ მძევლები და დავიხიე სვანეთის მიმართულებით. დავიკა  
ვე მთის სიმაღლეები. ვფიქრობდი ხელახლად შერკევის განვითარებას.

დავიწყე შეტევა მოპირდაპირის ნაწილების მიმართ, მაგრამ ბოლოს როდესაც  
სვანეთიდან ცნობა მივიღე, რომ იქ ყარაჩოდან რუსები შემოდდიოდნენ, გავეშურე სვა  
ნეთისაკენ, სადაც რამოდენიმე ბრძოლის შემდეგ მოგვიხდა შეჩერება და დაშლა.

ამის შემდეგ ვინახავდი თავს ერთი თვე სამეგრელოში. უნდა აღვნიშნო, რომ ხა  
ლწში რრიალებდა დიდი შურისძიებისა და სისხლის ალების სურვილი, მაგრამ ისიც  
უნდა ითქვას, რომ ხალხი უკმაყოფილო იყო ამ აჯანყების მეთაური ორგანოსი, რომე  
ლმაც ვერ შეარჩია აჯანყებისათვის მომენტი და ეროვნული ძალები უდროოდ გაანა-  
ღგურა.

P. S. — აღსანიშნავია აგრეთვე რომ ანაკლია—სოხუმში ზღვით გადმოსხეს რამე  
დენიმე დესანტი, როსელაც შემოვიდა სამეგრელოში. მათ შეუერთდა თბილისი  
დან მოსული რუსისა და სომხის წითელი ჯარი.

მათ გააჩაღეს პარსვა—გლეჯა ადგილობრივ მცხოვრებთა შორის. მათი მი  
ზანი იყო აქედან ინგურის ხეობით შეჭრა სვანეთში, ამიტომ მე გავამატე აღნიშნუ  
ლი ხეობა, მაგრამ როდესაც ცნობა მივიღე, რომ სვანეთში შემოდიან წითლები  
ყარაჩოდან და ლეჩხუმიდან უკან დავიხიე, და ავედი ზემო სვანეთში.

დავუმატებ აგრეთვე რომ მოკლულ იქნა აჯანყებულთ მიერ ზუგდიდის სა

მაზრო აღმასკომის თავმჯდომარე და რამოდენიმე კომუნისტი.

აჯანყების დამარცხების შემდეგ მთელ საქართველოში მძინვარებდა ტერორი: ყლუტდნენ და არბევდნენ ადგილობრივ მაცხოვრებლებს. საერთო რიცხვი დახვრეტი ლებისა სამეგრელოში 1000 აღემატება.



## ქრონიკა.

### საქართველოში.

— ახალი ბეგარა. საკავშირო მთავრობამ გამოუშვა მორიგი 2 სესხი, ამ გზით საბჭოთა კავშირში განაღდებულ უნდა იქნას 1 მილიარდ 500 მილიონი მანეთი. აქედან საქართველოს წილად მოდის 27 მილიონ 3000 ათასი მანეთი.

— ახალი «წმენდა». საქართველოს ყველა წარმოება-დაწესებულებებში დაწყებულია «არაკეთილ საიმედო ელემენტების» მორიგი «წმენდა»

— ქრთული თეატრი. ტფილისში დაარსებულია მეორე სახელმწიფო დრამის თეატრი კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით.

— «ბერეზელი» ტფილისში. ივნისის დამლევის ტფილისის საკანაზრო ლოდ ეწვია უკრაინის სახელმწიფო თეატრი «ბერეზილი», — დამსახურებული მსახიობებია. რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობის სახელწოდება მიეკუთვნა რუსთელის თეატრს—ეზლაკი პირველი სახელმწიფო დრამის მსახიობებს: ნინო დავითაშვილს და ნატალია ჯავახიშვილს.

მადნეულობის აღმოჩენა. საქართველოს მე საბჭოს სამდო განყოფილების ცნობით საქართველოში აღმოჩენილია მადნეულობის ახალი ბუდაბები შემდეგ რაიონებში: ლეჩხუმის რაიონში—მარგანეცის ბუდობი, ტყვარჩელში გერცხლის წყლის მადანი, შავი—არაგვის ხეობაში (მთიულეთი) შავი სპილენძისა და ქვანახშირის რის ბუდობი. ქვანახშირის ახალ სამრეწველო რაიონებთანა აგრეთვე მიჩნეულია: ჭალა(პიათურის რაიონი), მარტვილი, და ბზიბი (აფხაზეთი).

არქეოლოგიური აღმოჩენა. არქეოლოგმა გ. ნიორაძემ ტფილისის ნამთებში აღმოაჩინა ისტორიის წინა დროის ადამიანის საცხოვრებელი ადგილი. აღმოჩენილი საფლავები ეკუთვნიან დაახლოებით 2000 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ხოლო ნაპოვნი ნივთები და სამკაულები ეკუთვნის 7,000 წ. წ. ა.რის ისეთი ჭურჭლი იოანელებს აქამდე უცნობი იყო არქეოლოგიისათვის.

### ემიგრაციაში.

პარიზში დაარსდა ქართული მართმადიდებელი წმ. ნინოს ეკლესია. მღვდლად ანკრთხეს ბონის (გერმანია) უნივერსიტეტის დოცენტი გრიგოლ ფერაძე.  
 1924წ. აგვისტოს აჯანყების წლისთავზე პარიზში გადახდილ იქნა პანაშვიდი, მელსაც დაესწრო მთელი ქართული კოლონია. პანაშვიდის შემდეგ ბატ. შალვა რეჯიბმა წაიკითხა მოხსენება «1924 წლის აჯანყება»

ახალი წიგნი, პარიზში გამოვიდა ბნ ზ. ავალიშვილის ახალი წიგნი ქართულ  
 : «ეფესის ტყაოსანის საკითხები».

#### ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მოგვცეთ ნება თქვენი ჟურნალის საშუალებით გამცნოდ თველ საზოგადოებას, რომ პარიზში არსებულ ქართული დრამატული წრისმიერ წ. ნოემბრის უკანასკნელ შაბათს წარმოდგენილი იქნება ალ. სუმბათაშვილის ხუთ რქმედებიანი ისტორიული დრამა

#### დაღბტი

იმედი გვაქვს ქართველი საზოგადოება—გაცნობილი ემიგრანტულ სიღუბჭირეს მის ყოველმხრივ ნაკლულთვანებას—ლმობიერი იქნება მის შეფასებაში და თავის სილს შეიტანს ამ საერთო ქართულ კულტურულ საქმიანობაში, რითაც მისცემს ხელს არსებობის შესაძლებლობას.

პატივისცემით შალვანუბიერიძე.

---

სარედაქციო კალეგია

---

Gérante : L. Saint-Remy

რედაქციის მისამართი: 113, Quai de Javel,



ფასი 3 ფრანკი.

Imprimerie de l'Eglise, 15, rue de l'Eglise